ოქმი:**ო03.37220551**
თარიღი:**24/02/2022**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2022 წელი, 23 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ.ბიგვავა, ე. გორდელაძე, რ. დუმბაძე, მ. ვაშალომიძე, ტ. აროშიძე, გ. მდინარაძე, ს. ქარცივაძე, ბ.თოიძე,

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. 2022 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი
თანამომხსენებელი: ლ.თავაძე

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა ვრცლად ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე და აღნიშნა, რომ ცვლილების მიღების საფუძველს წარმოადგენს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება (ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან), რომლის თანახმადაც სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, გარდა ლატარიის მოწყობისთვის დადგენილისა, არის აუცილებელი გადასახდელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ხოლო ლატარიის მოწყობისათვის დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის, აუცილებელი გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

1. 2022 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

2. „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტი, შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი